საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-13/ნ
2013 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის №183/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის №183/ნ ბრძანებაში (სსმ III, 28.06.2010 №75 მუხ.1100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული დანართის (,,პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი“, იმუნიზაციის მართვისათვის საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმები და წესები):

ა) **სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი“ და იმუნიზაციის მართვის წესები“;

ბ) **მე-2 მუხლის 42-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;**

გ) **მე-2 მუხლის 50-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ **ბ) IV დონე** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.”;

დ) მე–3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი

	ასაკი ვაქცინა	0-12 საათი	0-5 დღე	2 თვე	3 თვე	4 თვე	12 თვე	18 თვე	5 წელი	14 წელი
1	ბცჟ (BCG)		X							
2	ჰეპ B (HepB)	X								
3	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა-ჰეპ B- ჰიბ (DPT-HepB-Hib)			X	X	X				
4	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა (DPT)							X		
5	ოპვ/იპვ (OPV/IPV)			X	X	X		X	X	
6	წითელა-წითურა-ყბაყურა (MMR)						X		X	
7	დიფთერია-ტეტანუსი (DT)								X	
8	ტეტანუსი-დიფთერია (TD)*									X
9	როტავირუსული ვაქცინა (Rota)			X	X					

10	პნევმოკოკური (Pneumo)									
11	ადამიანის პაპილომავირუსული (HPV)									
12	ჩუტყვავილა (VZV)									

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრების დაწყების კონკრეტული წელი და აცრადაქვემდებარებული ასაკობრივი კონტინგენტები განისაზღვრება სშჯსდ სამინისტროს ცალკე ბრძანებით

შენიშვნა: * TD - შემდეგ ყოველ მე-10 წელს, 55 წლის ასაკამდე.“;

ე) **მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,8. როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ცოცხალი ვაქცინით ვაქცინაცია იწყება 2 თვის ასაკიდან. აცრების კურსი არის ორჯერადი:

ა) როტავირუსული ვაქცინის პირველი დოზა უნდა გაკეთდეს 8 კვირის ასაკიდან 15 კვირის ასაკამდე;

ბ) როტავირუსული ვაქცინის მეორე დოზა უნდა გაკეთდეს 12 კვირის ასაკიდან 24 კვირის ასაკამდე;

გ) პირველ და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა;

დ) ვაქცინის მოხმარება ხდება ორალურად (პირის ღრუში ჩაწვეთებით) და ერთი ასაცრელი დოზა შეადგენს 1,5 მლ.“;
ვ) **მე–9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,მუხლი 9. ვაქცინების მოხმარება*: მეთოდი, დოზა

ვაქცინა	დოზა	შეყვანის მეთოდი
დყტ, დტ, ტდ (DPT, DT Td)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
ჰიბ (Hib)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
ჰეპატიტი B (HEPB)	≤ 19წ. 0,5 მლ ≥ 20წ 1.0 მლ	ინტრამუსკულარული
ჰეპატიტი A (HEPA)	≤ 18წ. 0,5 მლ ≥ 19წ. 1.0 მლ	ინტრამუსკულარული
ადამიანის პაპილომავირუსი (HPV)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
გრიპი ცოცხალი ატენუირებული (LAIV)	0,2 მლ	ინტრანაზალური შესასხურებელი
გრიპი სამვალენტიანი ინაქტივირებული (TIV)	6-35თვე 0,25მლ > 3წ. 0,5მლ	ინტრამუსკულარული
წითელა, წითურა, ყბაყურა (MMR)	0,5 მლ	კანქვეშ
მენინგოკოკური - კონიუგირებული (MCV)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
მენინგოკოკური – პოლისაქარიდული (MPSV)	0,5 მლ	კანქვეშ
პნევმოკოკური - კონიუგირებული (PCV)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
პნევმოკოკური – პოლისაქარიდული (PPSV)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული ან კანქვეშ
პოლიო ცოცხალი (OPV)	2 წვეთი	ორალური
პოლიო ინაქტივირებული (IPV)	0,5 მლ	ინტრამუსკულარული ან კანქვეშ
ბცჟ (BCG)	0,05 მლ	კანში

როტავირუსული ვაქცინა (Rota)	1,5 მლ	ორალური
ჩუტყვავილა (VZV)	0,5 მლ	კანქვეშ
კომბინირებული ვაქცინები		
დყტ+ჰიბ+ჰეპ, დყტ+ჰიბ+იპვ+ჰეპბ დყტ+ჰიბ, ჰიბ+ჰეპბHB	0,5 მლ	ინტრამუსკულარული
აჰეპ+ბჰეპ (HEPA+HEPB)	≥ 18წ 1.0 მლ	ინტრამუსკულარული
წწყ+ჩუტყვავილა (MMR+Var)	≤12წ. 0,5 მლ	კანქვეშ

ზ) **მე–11 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს ,,ბ.ფ“ და ,,ბ.ქ“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:**
,,ბ.ფ. - ნაწლავის ინვაგინაცია;

ბ.ქ. - გასტროენტერიტული სიმპტომები და ნიშნები.“;
თ) **მე-12 მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

10. როტავირუსული ვაქცინა (ROTA)	**უკუჩვენება*:** ჰიპერსენსიტიური რეაქცია ვაქცინის პირველი დოზის მიღების შემდეგ; ნაწლავის ინვაგინაცია ანამნეზში; ასიმპტომური აივ ინფექცია; **გაფრთხილება*:** 6 კვირაზე ნაკლებ ასაკში ვაქცინაცია არ ტარდება; დიარეა და/ან ღებინება რეჰიდრატაციული თერაპიით; **როტავირუსულ ვაქცინაზე ვრცელდება მე–12 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული უკუჩვენებები და გაფრთხილებები.“*

.".
2. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმები (№№1.3; 063, 1.4; 1.8; 1.9; 2.3; 2.8; 2.9; 2.10;) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური **დავით სერგეენკო**
დაცვის მინისტრი